

„შპს“ საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“

პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამა 090651

მასაჟისტის მესამე საფეხური

60 კრედიტი

„ვამტკიცებ“

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს
დირექტორი რ. ლომია

ბრძანება №50 , 07.07.2017 წელი

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მასაჟისტი

II. პროფესიული განათლების საფეხური: პროფესიული განათლების მესამე საფეხური

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, 1500 საათს, 42 % - ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. სწავლის ხანგრძლივობა 38 კვირა.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - მინიმალური ასაკი 18 წელი

VI. პროფესიული პროგრამის მიზანია:

მასაჟისტის მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონეს უნდა ქონდეს:

სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა, რის საფუძველზე შეეძლება:

- გააცნობიეროს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯები.
- შეძლოს სტრუქტურირებულ გარემოში უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.
- ფლობდეს ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობის უნარს.
- შეეძლოს პროფესიასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია.
- ფლობდეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ასევე უცხოურ ენას საბაზო დონეზე.
- შეეძლოს სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა.
- იცნობდეს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.

VII. სწავლის შედეგი:

| | |
|------------------------------|--|
| ცოდნა და გაცნობიერება | იგის: <ul style="list-style-type: none">• ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგიის საფუძვლები• დაავადების ეთიოლოგია და პათოგენეზი• პაციენტის ჩართვა სამედიცინო ღონისძიებებში, რომელიც მიმართული იქნება პათოლოგიური პროცესების განვითარების პრევენციისთვის, რაც უზრუნველყოფს დროებით და მყარ შრომისუნარიანობას, ეფექტურ და დროულ დაბრუნებას საზოგადოებაში;• სამედიცინო მასაჟის ამოცანები და მეთოდები ორგანო-სისტემებზე ზემოქმედებისათვის (სისხლისმიმოქცევისა და ლიმფურ სისტემაზე, კანზე, კუნთოვან სისტემაზე, შემაერთებელ ქსოვილზე, ნერვულ სისტემაზე, შინაგან ორგანოებზე და მთლიანად მთელ ორგანიზმზე ზემოქმედებისას)• სამედიცინო მასაჟის საშუალებებს: ხელსმა, სრესა, თელვა, დარტყმითი ილეთები, რხევები (ბერტყვა, შერხევა, ვიბრაცია), პასიური მოძრაობები• კინეზოთერაპიის ძირითადი საშუალებები: - საერთოგანმავითარებელი |
|------------------------------|--|

| | |
|---|--|
| | <p>და სპეციალური ვარჯიშები (იდიომოტორული, იზომეტრული, პასიური, პოსტურული, მაკორეგირებელი, სუნთქვითი, რელაქსაციური და სხვ.)</p> <ul style="list-style-type: none"> • კინეზოთერაპიის ფორმები: პროცედურა - ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობა; მექანოთერაპია, შრომითი თერაპია, კინეზო-ბალნეოთერაპია, ტერენკური, რაიტთერაპია, დამოუკიდებელი ვარჯიში; ასევე - მოძრაობის რეჟიმები: წოლითი, პალატის, დაზოგვითი-წვრთნის და საწვრთნელი • სამედიცინო მასაჟის კაბინეტის მოწყობა: სამასაჟო ოთახის ფართობი, გარემო სან-ჰიგიენური წესების დაცვით, სამასაჟო ტახტების ფორმა (ზომა, სიმაღლე); სამასაჟო ზეთები, საცხები და მალამოები; სპეციფიური აპარატურა (ვიბრომასაჟორები, ვაკუუმმასაჟორები და სხვა • ანტიცელულიტური, თაფლით და სხვა ეგზოტიკური მასაჟის სახეების ჩატარება • პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანის ჰიგიენური მასაჟის მეთოდიკები • ურთიერთობის ფსიქოლოგია • გაცნობიერებული აქვს სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნები და ამოცანები: • რაციონალურ რიცხვებზე მარტივი არითმეტიკული ოპერაციების ჩატარება |
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • წაიკითხოს დიაგნოზი ლათინურ ენაზე და გაიცნოს პაციენტის კლინიკური მდგომარეობა • არტერიული წნევის გაზომვა, პულსისა და სუნთქვის დათვლა; პერკუსია და პალპაცია • ტალახის, პარაფინის აპლიკაციის დადება • მასაჟისადმი ტოლერანტობის ნიშნების გამოკვლევა • პირველადი დახმარების აღმოჩენა • სამკურნალო მასაჟის მეთოდიკების გამოყენება სხვადასხვა პროფილის დაავადებით პაციენტთა რეაბილიტაციაში (ექიმის მიერ დასახული ამოცანების შესრულების შესაბამისად) • კინეზოთერაპიისა და მანუალური თერაპიის ილეთების გამოყენება სქოლიოზისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის სხვა დეფორმაციისა და დაზიანების მქონე პაციენტების მკურნალობა-რეაბილიტაციაში • ზოგიერთი ტრადიციული მასაჟის პროცედურების ჩატარება • სპორტული და ჰიგიენური მასაჟის მეთოდიკების გამოყენება |
| <p>დასკვნის გაკეთების უნარი</p> | <p>უნარი შესწევს:</p> <p>დროულად ამოიცნოს პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი</p> |

| | |
|---------------------------|---|
| | <p>დახმარებით აღმოფხვრას ისინი</p> <p>ამოიციოს დაავადების რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები; გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად მეორადი პროფილაქტიკის ღონისძიებების სატარებაში</p> |
| კომუნიკაციის უნარი | <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • უცხოურ ენაზე აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება • კომუნიკაცია პაციენტთან, მის ოჯახის წევრებთან და მედპერსონალთან • სხვისი საუბრის მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებისას დაზუსტება • შეუძლია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში |
| სწავლის უნარი | <p>ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფოკუსირება მოახდინოს საკუთარი ცოდნის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე • მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას |
| ღირებულებები | <ul style="list-style-type: none"> • იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს; • იცავს სანიტარულ ნორმებს • იცავს გუნდური მუშაობის პრინციპებს • პაციენტისა და კოლეგების მიმართ არის კეთილგანწყობილი |

VIII. სწავლის შედეგების რუქა

| სასწავლო კურსები/ მოდულები/საგნები | სწავლის შედეგები | | | | | |
|---|------------------------------|--|--------------------------------|---------------------------|------------------|------------------|
| | ცოდნა და გაცნობიერებ ა | ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებ ს უნარი | დასკვნის გაკეთებ ს უნარი | კომუნიკა ციის უნარი | სწავლის უნარი | ღირებუ ლებები |
| ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგიით და პათოლოგიით | X | | | | | |
| მათემატიკა | X | | | | | |
| უცხო ენა | | | | X | X | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლები | | | | X | | |
| ურთიერთობის ფსიქოლოგია და პროფესიული ეთიკა | X | | | X | X | X |
| სამკურნალო ფიზიკულტურა და სამკურნალო მასაჟი | X | X | X | | | |
| ლათინური ენა | | X | | | X | |
| ფიზიოთერაპია | X | X | | | | X |
| საწარმოო პრაქტიკა | X | X | | X | | X |

IX. სასწავლო გეგმა

I ნაწილი

| ს ა გ ნ ე ბ ი | კრედიტების რაოდენობა | ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა | | | | | | სულ საათების რაოდენობა | |
|---|----------------------|-------------------------------------|------------|---------------|-------------------|-------------------|------------------------------|------------------------|-----------------------|
| | | საკონტაქტო საათები | | | | | | | |
| | | ლექცია | პრაქტიკული | ლაბორატორიული | სასწავლო პრაქტიკა | საწარმოო პრაქტიკა | შუალედური/დასკვნითი შეფასება | | დამოუკიდებელი საათები |
| უცხო ენა (ინგლისური) | 3 | 0 | 45 | | | | 3 | 27 | 75 |
| კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლები | 3 | 15 | | 30 | | | 3 | 27 | 75 |
| ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგიით და პათოლოგიით | 3 | 30 | 15 | | | | 3 | 27 | 75 |
| მათემატიკა | 1 | | 15 | | | | 3 | 7 | 25 |
| ლათინური ენა | 2 | | 30 | | | | 3 | 17 | 50 |
| სამკურნალო ფიზიკულტურა და სამკურნალო მასაჟი | 6 | 30 | 60 | | | | 4 | 56 | 150 |
| საწარმოო პრაქტიკა | 12 | | | | | 290 | 10 | | 300 |
| სულ | 30 | 60 | 165 | 45 | 0 | 290 | 29 | 161 | 750 |

II ნაწილი

| ს ა გ ნ ე ბ ი | კრედიტების რაოდენობა | ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა | | | | | | სულ საათების რაოდენობა | |
|--|----------------------|-------------------------------------|------------|---------------|-------------------|-------------------|------------------------------|------------------------|-----------------------|
| | | საკონტაქტო საათები | | | | | | | |
| | | ლექცია | პრაქტიკული | ლაბორატორიული | სასწავლო პრაქტიკა | საწარმოო პრაქტიკა | შუალედური/დასკვნითი შეფასება | | დამოუკიდებელი საათები |
| უცხო ენა (ინგლისური; გერმანული) | 2 | 0 | 30 | | | | 3 | 17 | 50 |
| კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძვლები | 2 | 15 | | 15 | | | 3 | 17 | 50 |
| სამკურნალო ფიზკულტურა და სამკურნალო მასაჟი | 8 | 30 | 90 | | | | 4 | 76 | 200 |
| ურთიერთობის ფსიქოლოგია და პროფესიული ეთიკა | 2 | 15 | 15 | | | | 3 | 17 | 50 |
| ფიზიოთერაპია | 3 | 15 | 30 | | | | 3 | 27 | 75 |
| საწარმოო პრაქტიკა | 13 | | | | | 315 | 10 | | 325 |
| სულ | 30 | 75 | 165 | 30 | 0 | 315 | 31 | 164 | 750 |

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- ლაბორატორიულ მეცადინეობას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- დამოუკიდებელ მეცადინეობას
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის არანაკლებ 10 დღისა.

ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: შუალედური გამოცდა 60 ქულა, დასკვნითი გამოცდა 40 ქულა.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი
- წერა და ზეპირი გამოკითხვა
- პრეზენტაცია და დემონსტრირება

XII. სწავლების მეთოდები

- თეორიული სწავლება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- ლაბორატორიული სამუშაო
- სასწავლო პრაქტიკა
- საწარმოო პრაქტიკა

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.

| კურსი/მოდული/საგანი | სახელი, გვარი | კვალიფიკაცია |
|--|----------------------|---------------------|
| ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგიით და პათოლოგიით | ეკატერინე ჯავახია | ექიმის კვალიფიკაცია |

| | | |
|--|-------------------|--|
| მათემატიკა | მეგი სულაკაძე | მათემატიკა ინფორმატიკის პედაგოგის კვალიფიკაცია. მაგისტრის აკადემიური ხარისხი. |
| უცხო ენა | თეა სიმსივე | მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ინგლისური ენის მეთოდოლოგია და მეთოდოლოგიაში. |
| | თეონა ტალიკაძე | სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი. საერთაშორისო ურთიერთობებში. |
| კომპიუტერული საოფისე პროგრამები | დავით კუპრეიშვილი | აგრონომის კვალიფიკაცია. გამოცდილება - ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი, საინფორმაციო სისტემების კათედრის ასისტენტი. |
| | რამაზი მასიაშვილი | ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი. |
| ურთიერთობის ფსიქოლოგია და პროფესიული ეთიკა | გიორგიმე გოჩა | სამედიცინო ფსიქოლოგიის კვალიფიკაცია |
| ფიზიოთერაპია | მაია გოგიძე | ექიმი თერაპევტი, სერთიფიკატი-ფიზიოთერაპია-კურორტოლოგია |
| ლათინური ენა | მაია სულაბერიძე | პროფიზორის კვალიფიკაცია |
| სამკურნალო ფიზკულტურა და სამკურნალო მასაჟი | ნია მოსეშვილი | ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამკურნალო ფიზიკური კულტურისა და რეაბილიტაციის სპეციალობით |
| | ზაირა ბიბიჩაძე | მედდა, სამკურნალო მასაჟის კურსი |
| საწარმოო პრაქტიკა | ნია მოსეშვილი | ექიმი თერაპევტი, სერთიფიკატი-ფიზიოთერაპია-კურორტოლოგია |
| | ზაირა ბიბიჩაძე | მედდა, სამკურნალო მასაჟის კურსი |

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ.

საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონს“ მასაჟისტის მე-3 საფეხურის პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის გააჩნია შესაბამისი ფართი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თეორიული

სწავლებისთვის: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, მასაჯის კაბინეტი ქ. ქუთაისი, ოცხელის №2.

XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა: სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას გაივლიან (გადანაწილდებიან) შემდეგ ორგანიზაციებში:

1. სამედიცინო კორპორაცია ევექსი. ხელშეკრულება №56. 21.03.2017 წელი.
2. სს ბალნეოსერვისი ხელშეკრულება №64. 08.05.2017 წელი.